

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №6

2012 წლის 20 იანვარი

ქ. დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 6 ოქტომბრის №39 დადგენილებით დამტკიცებულ №1 დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 6 ოქტომბრის №39 დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

დანართი №1

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა და გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოები

თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები (ლარებში)
გამგებელი	2360
გამგებლის მოადგილე	900
სამსახურის უფროსი	700
განყოფილების უფროსი	500
გამგებლის თანაშემწე	450
თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი	400
მთავარი სპეციალისტი	420
წამყვანი სპეციალისტი	350
უფროსი სპეციალისტი	240
სპეციალისტი	235
სახანძრო-სამაშველო სამსახური	
სამსახურის უფროსი	700
ინსპექტორი (მოადგილე)	460
რაზმის უფროსი	312
მეხანძრე	300
დისპეტჩერი	190
მძღოლი	282
დამლაგებელი	180
დისპეტჩერი რეზერვისტი	190

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ც. საძაგლიშვილი